პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 დეკემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 249 (9660) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# არდადეგების სპორტული პანორამა

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებს, როგორც ყოველთვის, სპორტული პროგრამაც შეავსებს. განსხვავება წინა წლებთან შედარებით ის არის, რომ ახლა ორგანიზებულად გაცილებით მეტი მოსწავლე დაისვენებს, სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებებიც მეტი ჩატარდება. ამ არდადეგებისთვის საგანგებო პროგრამა შეიმუშავა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს პროფსაბჭომ.

საქართველოს პროფსაბჭომ პიონერთა ზამთრის ბანაკები შექმნა ბაკურიანში, ქობულეთში, ახალდაბაში, თერჯოლაში. რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში დღის ბანაკები იმუშავებს, სადაც 19 ათასამდე მოზარდი გაიკაჟებს ჯანმრთელობას. არდადეგები აქტიური დასვენების ხანაა და, ცხადია, ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ყველგან ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს დაეთმობა. ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენები მიწვეულნი არიან და მონაწილეობას მიიღებენ ლენინგრადში, კიევში, ლვოვში, სვერდლოვსკში, კუსტანაისა და პანევეჟისის ზამთრის სპორტულ შეჯიბრებებში.

არდადეგების სპორტული პროგრამა 29 დეკემბრიდან დაიწყება და 10 იანვრამდე გაგრძელდება.

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**თავისუფალ ჭიდაობაში** — ავთანდილ კიკალიშვილს, სევერიან პვიჟბას (ორივე — გულრიფში, პროფკავშირები), ზურაბ ტატუაშვილს (თბილისი, ასკ);

**ბატუტზე ხტომაში** — გიორგი კაპანაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები").

# წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## ლიდერები

### ოლეგ ლიპარტელიანი

**საქართველოში** ბევრი მაღალი კლასის რეგბისტი აღზრდილა, ბევრმა მათგანმა ღირსეულად დაიცვა თავისი კლუბის, ქვეყნის პირველი ნაკრების ღირსება. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს



მათ შორის ყველაზე ტიტულიანი სპორტსმენი ოლეგ ლიპარტელიანია. თავად განსაჯეთ: იგი პირველი ქართველი რეგბისტია, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა თანაგუნდელ ს. უგრეხელიძესთან ერთად. მედლების კოლექციას არ იკითხავთ? ოლეგი სსრ კავშირის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს (ორგზის) მედლების მფლობელია. ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო თასის გათამაშებაში. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაშიც ორჯერ იყო ევროპის ვიცე-ჩემპიონი.

გზა დიდი რეგბისკენ მოულოდნელად დაიწყო. ლენტეხში დაბადებულმა ბიჭმა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო. მაშინ რეგბი ძალზე პოპულარული იყო ამ სასწავლებელში. მეგობრების რჩევით, ოლეგი მალე ინსტიტუტის რეგბის სექციის წევრი გახდა. მეტისმეტად კი გაცვდა ეს ფრაზა: მწვრთნელმა ამ ჯანღონით სავსე ჭაბუკში მომავალი რეგბისტი შეიცნოო, მაგრამ გელა მიქაბერიძემ მართლაც მაშინვე დაადგა თვალი მას და დამწყები რეგბისტი ერთი წლის შემდეგ უკვე რესპუბლიკის

იხ. მე-2 გვ.

# სამი ლიდერი

**ბრიუსელში** მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა შერეულ ტურნირში ბოლო, VIII ტურის წინ მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. „სუსტი სქესის" წარმომადგენლები არაფერს უთმობენ „ძლიერებს ამა ქვეყნისა". 7 ტურის შემდეგ ვაჟები მხოლოდ ერთი ქულით არიან წინ — 14:13 (1). ლიდერთა სამეულშიც ქალები სჭარბობენ: მაია ჩიბურდანიძეს, ნონა გაფრინდაშვილსა და დასავლეთგერმანელ ეროკ ლობრონს 4-4 ქულა აქვთ. დაწინაურებულებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ბელგიელი ლუი ვინანტსი და ამერიკელი მაქსიმ დლუგი. 3-3 ქულა და ერთმანეთში გადადებული პარტია აქვთ უნგრელ ჟუჟა პოლგარსა და ინგლისელ უილიამ უოტსონს. შვედმა პია კრამლინგმა მხოლოდ 2 ქულას მოუყარა თავი.

ახლა გთავაზობთ VIდა VII ტურების და ზოგიერთი იმ პარტიის შედეგს, რომელთა გაცნობაც დღემდე ვერ მოვახერხეთ. **VI ტური:** გაფრინდაშვილი-ვინანტსი — 0:1, ჩიბურდანიძე-უოტსონი — 0:1, პოლგარი-ლობრონი — 0,5:0,5, კრამლინგი-დლუგი — 0:1; **VII ტური:** ჩიბურდანიძე-ლობრონი — 1:0, გაფრინდაშვილი-დლუგი — 0,5:0,5, კრამლინგი-ვინანტსი — 0,5:0,5, გადაიდო პოლგარ-უოტსონის პარტია; **III ტური:** ჩიბურდანიძე-ლობრონი — 0,5:0,5; **IV ტური:** ჩიბურდანიძე-ვინანტსი — 0,5:0,5, პოლგარი-დლუგი — 0,5:0,5; **V ტური:** გაფრინდაშვილი-ლობრონი — 0,5:0,5.



# კარგი დასაწყისი

**25 დეკემბერს** ალმა-ათის მახლობლად, ჩიმბულაკში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება (სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები) სამთო-სათხილამურო სპორტში. ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, წალვერელი სპორტის ოსტატი გია ორჯონიკიძე („დინამო"). მან საუკეთესოდ დაიწყო ზამთრის ახალი სპორტული სეზონი და პირველობა მოიპოვა სუპერგიგანტის ტრასაზე — 1.46,01. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები დიმიტრი ავერინი (1.47,18) და ვადიმ ამოსოვი (1.47,53).

**სურათზე:** გია ორჯონიკიძე.

ნუგზარ ქარელის ფოტო.

# „გაფართოების ნაცვლად შევავიწროვეთ?"

5 დეკემბრის „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილში („გაფართოების ნაცვლად შევავიწროვეთ?") მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ვერტყვიჭალაში აგებული ახალი საშუალო სკოლა მართლაც კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნის გარეშე დარჩა. მოედნებისთვის სკოლას თავისუფალი ადგილი აქვს და მათ მოსაწყობად გადაწყვეტილებაც მივიღეთ. რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, აქ უკვე შეზიდულია სხვადასხვა ინვენტარი, რომელთა დამონტაჟებაც დაწყებულია. ახლა ამ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარებისათვის პრობლემები აღარ არის.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**შ. ლონლაძე,**
ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე,

**ა. მაღრაძე,**
ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან შეიქმნა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა, სადაც მოზარდები თავიდან საერთო ფიზიკურ მომზადებაში იწყებენ ვარჯიშს, შემდეგ კი სპეციალისტები მათ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ვარჯიშს სთავაზობენ.

გასულ კვირას მოეწყო სკოლის პირველი შეჯიბრება. პროგრამაში იყო 30 მ. რბენა, ადგილიდან სიგრძეზე ხტომა და კომბინირებული ესტაფეტა. შეჯიბრებებში 250-მდე მოზარდი მონაწილეობდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



მიმდინარეობს რაიონული და საქალაქო კონფერენციები

# გარდაქმნა ჩქარა უნდა შეეხოს

**კრიტიკისა** და თვითკრიტიკის ატმოსფეროში ჩატარდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს პირველი კონფერენცია. ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების საყურადღებოდ ბევრი წინადადება, შენიშვნა გამოითქვა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მეტ ზრუნვას მოითხოვს მასობრიობა, უნდა გაუმჯობესდეს ძირეული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საშეფო ორგანიზაციებმა.

ფორმალიზმისათვის თავი ვერ დაუღწევიათ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. მათ სათანადო მხარდაჭერაც არა აქვთ შრომითი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან, სწორედ ამის შედეგია ის, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებში მხოლოდ ერთი და იგივე კოლექტივები მონაწილეობენ.

ქალაქს არ ჰყოფნის სპორტული ბაზები, განსაკუთრებით დარბაზები. ადგილმრეწველობის კომბინატს, ყველ-კარაქის ქარხანას, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას, № 9 საგზაო ტრესტს, ფაიფურის ქარხანას, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, მანქანათმშენებელ ქარხანას საერთოდ არ გააჩნიათ სპორტული ბაზები. აქვე აღინიშნა ისიც, რომ დატვირთული არ არის არსებული ბაზები. მეთოდისტად ბევრი არასპეციალისტი მუშაობს.

კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ერთობლივი მუშაობით, ურთიერთგამოცდილების გაზიარებით შეძლებენ არსებული პრობლემების დაძლევას. მიიღეს დადგენილება, რომელიც მათი შემდგომი საქმიანობის საპროგრამო დოკუმენტი იქნება.

კონფერენციამ პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ სპორტული საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ ვიტალი ჰურღულია აირჩია.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს" კორ.

სპორტული მეგობრობა

# რაც წელს გაკეთდა

**ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების კომპლექსური ღონისძიებების პროგრამა საინტერესოდ სრულდება.**

1986 წ. 19 დეკემბერს საქართველოს სპორტსახკომმა მიიღო დადგენილება „1986-1990 წლებში სომხეთისა და აზერბაიჯანის ფიზკულტურელებთან და სპორტსმენებთან საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ინტერნაციონალური კავშირების შემდგომი განვითარების კომპლექსური გეგმის შესახებ". ასეთივე დადგენილება მიიღო სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტსახკომებმა.

კომპლექსური პროგრამით სამი მოძმე რესპუბლიკის ფიზკულტურის ინსტიტუტებს დაევალათ მთელი რიგი ღონისძიებები. უკვე ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ფიზკულტურისა და სპორტის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებზე, მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს სამივე ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოებმა და პირველი შეკრებაც მოეწყო თბილისში. ინსტიტუტების სპორტკლუბების ხელმძღვანელობით სპორტის 9 სახეობაში ჩატარდა მეგობრული თამაშები (თითოეულ ინსტიტუტში სამ-სამი), სადაც საქართველოს წარმომადგენლებმა ოთხ სახეობაში იმარჯვეს. შეჯიბრებაზე გუნდს მწვრთნელთან ერთად ახლდნენ ამ სახეობის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც შესაბამის კათედრებზე გაეცნენ კოლეგების მუშაობას და ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება. გარდა ამისა, ჩატარდა საჯარო ლექციები.

მეგობრული შეხვედრების პროგრამაში შედიოდა აგრეთვე კულტურული ღონისძიებები. გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები. მთელ ამ მუშაობაში წინა პლანზეა წამოწეული სტუდენტთა თვითმმართველობა.

მოძმე რესპუბლიკების ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორებმა ამ დღეებში დაამტკიცეს 1988 წლის ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების დებულება.

ინტერნაციონალური მეგობრობა ღრმავდება....

## საიუბილეო თარიღები



# ფუძემდებელი

**ფიზიკური განათლების ორიგინალური სისტემის შემქმნელის პეტრე ფრანცის ძე ლესგაფტის დაბადების 150 წლისთავის გამო**

„იცხოვრო სიმართლით, იცხოვრო სხვისთვის, — ესაა ყველაზე დიდი მიზანი, რომლის მიღწევის სურვილიც მხოლოდ ადამიანს ამოძრავებს.“ — წერდა პ. ფ. ლესგაფტი თავის ვაჟს 1883 წელს. სწორედ ამ სურვილით იყო გაცისკროვნებული ცხოვრება თვით ამ კაცისა, რომელმაც, მეფის მთავრობის მკაცრი რეპრესიებისა და შევიწროების მიუხედავად, მაინც შეძლო სწორი მიმართულება მიეცა ფიზიკური აღზრდის მეცნიერებისათვის, შეექმნა ფიზიკური განათლების ორიგინალური, უაღრესად საინტერესო თეორია. იგი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი რუსეთის ფიზიკური აღზრდისა და განათლების კადრების მომზადებაში.

პ. ფ. ლესგაფტი დაიბადა 1837 წელს, პეტერბურგელი ოქრომჭედლის ოჯახში. ვერცხლის მედლებზე დაამთავრა ჯერ გიმნაზია, შემდეგ მედიკო-ქირურგიული აკადემია. ამ აკადემიაში 1865 და 1868 წლებში მან დაიცვა ორი სადოქტორო დისერტაცია. 1868 წელს იგი მიიწვიეს ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ანატომიის კათედრის ექსტრაორდინალური პროფესორისა და გამგის თანამდებობაზე, მაგრამ სამი წლის შემდეგ, უნივერსიტეტის რეაქციული ხელმძღვანელების საჯარო კრიტიკისათვის, ეს სასწავლებელი დაატოვებინეს. 1871 წლიდან ისევ პეტერბურგის მედიკო-ქირურგიულ აკადემიაშია.

1874 წელს ლესგაფტმა გამოაქვეყნა შრომა „ბუნებრივი ტანვარჯიშის საფუძვლები“, რომლითაც, ფაქტობრივად, დაიწყო მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ფიზიკური აღზრდის ახლადფეხადგმულ მეცნიერებაში. შემდგომში ფიზიკური აღზრდის სამამულო მეცნიერებამ მიიღო მისი ფუძემდებლური შრომები: „ფიზიკური განვითარება სკოლებში“, „ფიზიკური დასჯა ოჯახში და მისი გავლენა ბავშვთა ტიპებზე“, „სასკოლო ტიპები“, „საოჯახო აღზრდა“, „თეორიული ანატომიის საფუძვლები“, „ადამიანის საერთო ანატომიის მოკლე კურსი“, „ფიზიკური ვარჯიშების როლი ჯარისკაცთათვის“, „სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური განათლების სახელმძღვანელო“ და სხვანი.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პ. ფ. ლესგაფტის პედაგოგიური საქმიანობა. კეთილშობილური სიმკაცრე და ჰუმანურობა, გულისხმიერება, ახალგაზრდობის აღზრდისადმი ფანატიკური ერთგულება, მეცადინეობების ჯანსაღი იდეური მიმართულება — აი, რით გამოირჩეოდა ლესგაფტის პედაგოგიური მოღვაწეობა. პროფესორი ქ. ლვოვი ერთ თავის ნაშრომში („პ. ფ. ლესგაფტის ბრძოლა ქალთა განათლებისათვის“) შენიშნავს: „იგი ანატომიას გვიკითხავდა და თან დიდ ცხოვრებისეულ სიბრძნეს გვაზიარებდა. ვუცქერდით გვამებსა და ძვლების ნაწილებს და ვგრძნობდით ადამიანთა ცხოვრების მთელ სიდუხჭირეს... ჩვენ ლესგაფტისგან ვსწავლობდით ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის ღრმა სიძულვილს“.

პედაგოგის რა საოცარი გულისხმიერება იგრძნობა ლესგაფტის სიტყვებში, რომლითაც მან ყველას გასაგონად მიმართა II კურსის ჯგუფხელს ო. ბობილევას: „თუ ფული დაგჭირდეთ, შედით ჩემს კაბინეტში. საწერი მაგიდის პირველ ზედა უჯრაში ფული დევს. აიღეთ, რამდენიც გენებოთ. მე ნურაფერს მეტყვით. როცა შეძლებთ, დააბრუნეთ. უჯრას გასაღებით არასოდეს ვკეტავ“.

არც სტუდენტები დარჩენილან მამობრივად მზრუნველი პედაგოგის ვალში. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გაძევებულ ლესგაფტს სტუდენტებმა მიართვეს ადრესი, რომელშიც ვკითხულობთ: „პეტრე ფრანცის ძევ!... ჩვენს ძნელ დროში უუფლებობასა და ძალადობას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით... მთელი თქვენი ცხოვრება წარმოადგენს პროტესტს მათ წინააღმდეგ. რაც უფრო ცოტანი არიან ასეთი ადამიანები, მით უფრო ძვირფასნი არიან ისინი. თქვენ ჩვენთვის ხართ არა მარტო მასწავლებელი, არამედ ის ადამიანი, რომელიც უშუალოდ ცხოვრებაში ნერგავს უმწიკვლო და კეთილშობილი საზოგადო მოღვაწის იდეალებს“.

მსოფლმხედველობით ლესგაფტი წმინდა წყლის მატერიალისტი იყო; იგი მთელი არსებით თანაუგრძნობდა რევოლუციას. მისი ბინა, სადაც 1896 წლიდან გახსნილი იყო „ფიზიკური განათლების აღმზრდელი და ხელმძღვანელი ქალების კურსები“, 1905 წლიდან კი — თავისუფალი უმაღლესი სკოლა, რევოლუციის თანამოაზრეთა სამოქმედო ასპარეზად იქცა. ამაზე ნათლად მეტყველებენ მეფის ოხრანკის მასალები: „1906 წლის 29 ოქტომბერს ლესგაფტის კურსებზე იკითხებოდა ლექციები მხოლოდ და მხოლოდ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიპოვოს რუსეთმა თავისუფლება რევოლუციის გზით“; „კურსების დირექტორის, ლესგაფტის ხელშეწყობით აქ რევოლუციონერთა დანაშაულებრივი საქმიანობა ფართო მასშტაბებს იღებს... გამოდიან სიტყვებით და მოუწოდებენ ამჟამად არსებული წყობის ძალით დამხობას“. „1907 წლის 18-19 დეკემბერს, ღამით, მოეწყო პროფესორ ლესგაფტის კურსების ჩხრეკა, ამასთან, აღმოჩენილი იქნა 50 ფუთი არალეგალური ლიტერატურა...“

ამ კურსებზე მოხსენებებით არაერთხელ გამოსულა ვ. ი. ლენინი. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის თანამშრომელმა ნ. ჩახვაშვილმა საქართველოს ცენტრალურ არქივში მიაკვლია დოკუმენტს — ყაზანის პოლიციის უფროსი ატყობინებდა თბილისის ხელისუფლებს — ყაზანს ტოვებს უნივერსიტეტის არაკეთილსაიმედო პროფესორი ლესგაფტი და თუ მან თბილისისაკენ აიღო გეზი, ფხიზლად ადევნეთ თვალიო.

მართალია, პ. ფ. ლესგაფტი თანაუგრძნობდა რევოლუციას, მაგრამ იგი არ იყო რევოლუციონერი. ლესგაფტი მთელ თავის ენერგიას ფიზიკური განათლების პრობლემების გადაწყვეტას ახმარდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი ფუნდამენტური ნაშრომი „სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური განათლების სახელმძღვანელო“, რომელიც დაიწერა ევროპაში ლესგაფტის ორლწიანი მივლინებისა და ევროპის ქვეყნებში არსებული ფიზიკური აღზრდის სისტემების შესწავლის საფუძველზე. წიგნის პირველ ნაწილში ასახულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია. მეორე ნაწილში ავტორი მკითხველს სთავაზობს ფიზიკური განათლების ორიგინალურ თეორიას, რომელიც მისი მრავალი წლის გამოცდილების შეჯამებას წარმოადგენს.

მაინც რას წარმოადგენს ლესგაფტის ფიზიკური განათლების სისტემის არსი? რატომაა, რომ ფიზიკური ვარჯიშების თავის სისტემას ლესგაფტი ნათლავს ფიზიკურ განათლებად და არა ფიზიკურ აღზრდად? ლესგაფტის აზრით, ფიზიკური განათლების ამოცანაა, ასწავლოს ახალგაზრდებს საკუთარი სხეულის ფლობა, რათა მათ „შეგნებულად წარმართონ ცალკეული მოძრაობა სხვადასხვა დაბრკოლების დასაძლევად დიდი სიმარჯვითა და შეუპოვრობით; სხვანაირად რომ ვთქვათ, შეაძლებინოს მათ შრომის ნაკლები ხარჯვით, დროის მცირე მონაკვეთში შეგნებულად შეასრულონ დიდი ფიზიკური სამუშაო ანდა იმოქმედონ მოხდენილად და ენერგიულად“. ლესგაფტის ფიზიკური განათლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური აღზრდისა და გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა-განათლების მტკიცე კავშირს, მთლიანად მიმართულია ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობისათვის მოსამზადებლად. ერთი სიტყვით, ფიზიკურ აღზრდას, ცალკეულ ფიზიკურ ვარჯიშებს, ლესგაფტი აყენებს ახალგაზრდობის ინტელექტუალური აღზრდის სამსახურში.

ამ მიზნით შერჩეულ ვარჯიშებსა და თამაშებში ტიპიურია ბავშვებში დროისა და სივრცის გრძნობის განვითარებისათვის გამიზნული ვარჯიშები. აი, ლესგაფტს გამოჰყავს ბავშვები სირბილში სავარჯიშოდ და ასეთ დავალებას აძლევს მათ: გაიქეცით ისეთ ტემპში, რომ ფინიშის ხაზი გადაკვეთოთ არა რაც შეიძლება მოკლე დროში, არამედ ზუსტად 17 წამში. რბენის პროცესში ბავშვი ეჩვევა დროში თავისი მოქმედების განაწილებას. ამ გრძნობის (ალღოს) გამომუშავებას ფასდაუდებელი სამსახური შეუძლია გაუწიოს ადამიანს შრომითს თუ საბრძოლო საქმიანობაში. იგივე ითქმის ბავშვებში სივრცის გრძნობის განვითარების შესახებ. სხვა ვარჯიშებთან ერთად, ლესგაფტი ხშირად მიმართავდა სიგრძეზე ხტომას. დავალება ასეთი იყო: ბავშვები გადამხტარიყვნენ არა შორს, არამედ ზუსტად სამ მეტრზე. ეს ვარჯიში აღსაზრდელებს უძლიერებდა სივრცეში გარკვევის მეტად საჭირო გრძნობას.

სწავლების პრინციპებსა და მეთოდებს შორის, — განსაკუთრებით გამოსარჩევია ლესგაფტის მოძღვრება „სიტყვისა“ და „ჩვენების“ მეთოდის შესახებ. ლესგაფტს მიაჩნდა, რომ ბავშვებისათვის ვარჯიშის სწავლება უნდა დაიწყოს სიტყვიერი ახსნა-განმარტებით, ჯერ უნდა აიხსნას, თუ როგორ სრულდება ვარჯიში, შემდეგ განემარტოს მათ ამ ვარჯიშის შესწავლის მიზანი. „ყველაფერი, რაც სერიოზულ და შეგნებულ შესწავლას საჭიროებს, წინასწარ უნდა განიმარტოს სიტყვით და მხოლოდ შემდეგ შეივსოს და შემოწმდეს ჩვენებით“ — ასკვნის ლესგაფტი. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ლესგაფტი აუფასურებდეს ჩვენების მეთოდს. იგი მოითხოვს იმას, რომ ჩვენება ბრმა მიმბაძველობად არ იქცეს.

პ. ფ. ლესგაფტის ფიზიკური განათლების სისტემა იმ დროის სისტემებს შორის თავისი პროგრესულობით, ჰუმანურობით და პრაქტიკულობით გამოირჩეოდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერიის პროგრესულ პედაგოგიურ სამყაროში. მან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ლესგაფტის მოღვაწეობას სათანადოდ აფასებდა ჩვენი გაზეთი „ივერია“ და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე.

ლესგაფტის სახელი მიკუთვნებული აქვს ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს; მისი შრომები მრავალათასიანი ტირაჟით გამოდის. შთამომავლობა არ ივიწყებს სახელოვანი წინაპრის ღვაწლსა და დამსახურებას სამამულო ფიზიკური აღზრდის საქმეში.

სამწუხაროდ, ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდის მესვეურები და, პირველ ყოვლისა, მწვრთნელები და პედაგოგები ნაკლებად იცნობენ ლესგაფტის შემოქმედებას, არ იყენებენ მის საქმიან წინადადებებს და რეკომენდაციებს. განა დასანანი არ არის, რომ ჩვენი პედაგოგები არც კი ცდილობენ ზემოთ ნახსენები დროისა და სივრცის გრძნობის განმავითარებელი ვარჯიშების გამოყენებას აღმზრდელობითს პრაქტიკაში, განა ასეთი ვარჯიშები დიდ სარგებლობას არ მოუტანდა ჩვენს მოსწავლეებს? ჩვენი პედაგოგიური საზოგადოება, ფიზიკური აღზრდის პედაგოგთა არმია უნდა დააფიქროს ამან. წარსულის პროგრესული გამოცდილება დიდ დახმარებას გაუწევს მათ ფიზიკური აღზრდის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაში.

**ავთანდილ ციბაძე.**

# ლიდერები

**დასასრული**

პირველ გუნდში — თბილისის „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა. გამოცდილი მწვრთნელის თ. ბენდიაშვილის ხელმძღვანელობით უფრო დაიხვეწა მისი ოსტატობა და ოლეგ ლიპარტელიანი მალე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს. თორმეტი თვეც და მან თანაგუნდელებთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი და თასი მოიპოვა, ერთი წლის შემდეგ კი ქვეყნის პირველი ნაკრების წევრი გახდა.

1980 წლიდან ოლეგი ქუთაისის „მშენებელში“ გამოდის, როგორც მოთამაშე-მწვრთნელი. იმ წარმატებებში, რომელსაც ქუთაისელმა რეგბისტებმა მიაღწიეს, გამოცდილი რეგბისტის დიდი წვლილიცაა.

როგორც მისი თანაგუნდელებისთვის, მისთვისაც ყველაზე იღბლიანი წლევანდელი სეზონი გამოდგა. იგი კვლავ იხმეს პირველ ნაკრებში, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე მატჩი ჩაატარა და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი დაიმსახურა. შემდეგ... დაუვიწყარი 13 აგვისტო და 12 ოქტომბერი, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი და საკავშირო ჩემპიონატის სუპერფინალის განმეორებითი შეხვედრა.

— ბედნიერი კაცი ვარ — „მშენებლის“ მოთამაშეებს დიდი ხნის ნატვრა აგვისრულდა, მაგრამ მერწმუნეთ, მიღწეული ზღვარი არ არის — გვითხრა ვეტერანმა. — „მშენებელი“ უკვე შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას. მოგეხსენებათ, მიღწეულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე ახალი წარმატების მოპოვება. გუნდის ყველა წევრი მწყობრშია და გულმოდგინედ ვარჯიშობს... გვჯერა, რომ შევძლებთ ქართველი გულშემატკივრების გახარებას. „მშენებელში“ ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა გამოჩნდა. ვეტერანებთან ერთად ისინი კვლავ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებენ. ტრავმის გამო წელს ფინალში ვერ ვითამაშე, მაგრამ გაისადაც ხომ იქნება ფინალი...

## ბესარიონ ლილუაშვილი

— ვინ მაჩუქებდა ამ მედლებსა და ამდენ სიხარულს, ჰერეთელ ბიჭს მთელ დუნიას ვინ მოვატარებდა! არც ამდენი ერთგული მეგობარი და კეთილი ნაცნობი მეყოლებოდა, ეს დალოცვილი თამაში რომ არა. ამიტომ მიყვარს რეგბი, უსაზღვროდ მადლიერი ვარ მისი და ვეცდები მუდამ ვუერთგულო.

მე მჯერა ბესარიონ ლილუაშვილის ამ სიტყვებისა. მჯერა იმიტომ, რომ დიდი ხანია ვიცნობ და ბევრჯერ მინახავს მისი თამაში.

ქუთაისელი გულშემატკივრები განსაკუთრებულ პატივს სცემენ „მშენებლის“ ამ 33 წლის მორკინალს. ორიოდე სიტყვით, რა თქმა უნდა, ძნელი ასახსნელია, რით იმსახურებს ესა თუ ის სპორტსმენი ამგვარ პატივისცემას. დააკვირდით ლილუაშვილის თავგანწირულ, ვაჟკაცურ, მაღალოსტატურ თამაშს, ყველაზე რთულ, თითქმის უიმედო სიტუაციებში ბოლომდე ბრძოლის ჟინს, გაესაუბრეთ ამ კეთილ, იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ ახალგაზრდას და მიხვდებით, რატომ არის იგი ასე პოპულარული რეგბის მოყვარულთა შორის.

საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრებისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ბესარიონმა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში დაიწყო მუშაობა. ვიმუშავებ, ვიმეცადინებ და უმაღლესში ჩავაბარებო, — ფიქრობდა. ჯანმაგარი ბიჭი საამქროს ფეხბურთელთა გუნდში ჩარიცხეს. ქუთაისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ პირველსავე მატჩში ორი მეტოქე კოჭლობით გაისტუმრა გასახდელისაკენ და როცა უიღბლო მცველმა პენალტიც „დაიმსახურა“, მწვრთნელმა მასაც გასახდელისკენ მიუთითა. ალბათ, ამით დამთავრდებოდა მომავალი ჩემპიონის სპორტული კარიერა, იქ მყოფ ქუთაისელ რეგბისტთა მწვრთნელს დუგლას კავთელაშვილს რომ არ მიეხმო:

— რეგბისტად ხარ დაბადებული, იცოდე, და შეეშვი ამ ფეხბურთს. ნურც შენ წვალობ და ნურც სხვის ცოდვაში დგამ ფეხს, — ურჩია კავთელაშვილმა თავჩაქინდრულ ბესიკს და მრავალი ქუთაისელი რეგბისტის „ნათლიამ“ საქმე წინ წაიგდო — დღეიდან მოურავი გერქმევა შენ — აბა, „საერო“ სახელით ქუთაისელთა გუნდში ვის მიიღებდნენ.

ასე იქცა ბესიკი მოურავად, ფეხბურთელი — მორკინალად და დაიწყო ის გზა, რომელზედაც უმჯობესია თავად გვიამბოს:

— დუგლასი და შალვა ქურციკიძე მოედნიდან აღარ მიშვებდნენ: აქაოდა, ოცდასამი წლის კაცმა დაიწყე რეგბის თამაში და დანაკლისი აუცილებლად უნდა აინაზღაურო. იმდენი მარბენინეს, 1979 წელს უკვე უმაღლეს ლიგაში მათამაშეს და ქვეყნის მეორე ნაკრების წევრიც გამხადეს. მომდევნო წელს „გადავინაცვლე“ პირველ ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში „სოცინდუსტრიის“ პრიზის მფლობელი გავხდი. 1981 წელს „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ ქუთაისიდან თბილისის „ლოკომოტივში“ გამაგზავნეს. იმ სეზონზე 136 ქულა მოვაგროვე, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი მოვიპოვე და ფერგანაში 64 მეტრიდან საჯარიმოც გავიტანე. მართალია, იმ სტადიონზე მემორიალური დაფა არ გაუკრავთ, მაგრამ ამბობენ, ჩვენში ამ სიშორიდან ბურთი სხვას არავის გაუტანიაო. იმავე წელს თბილისის ლოკომოტიველებმა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ, მერე კი ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა და ერთი ბრინჯაოს მედალი მეც მერგო. ამ გუნდთან ერთად იმდენი ვიმოგზაურე, რომ ვანში დაბრუნებულს კოლუმბივით შემხვდნენ. იმდენი მალაპარაკეს, რომ ჩემმა თანასოფლელებმა ახლა საფრანგეთისა და იტალიისა უფრო მეტი იციან, ვიდრე მეზობელი რაიონებისა. 1984 წელს „მშენებლის“ მოთამაშეებმა ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი, მე კი დამაგვიანდა, მომდევნო წელს დავბრუნდი ქუთაისში და ბრინჯაოსლა „ჩამოვუსწარი“, მაგრამ როცა საკავშირო ნაკრები ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მივხვდი, ჯერ ყველაფერი წინ იყო და არც შევმცდარვარ. წლევანდელი სეზონი ყველაზე ბედნიერი გამოდგა ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისათვის.



ბესარიონის მონაყოლს მე ორიოდე სიტყვას, მისი „სპორტული პორტრეტის“ ორიოდე შტრიხს დავუმატებდი: წელს „მშენებელი“ „სლავასთან“ ძალზედ პრინციპულ მატჩს აგებდა. ბოლო წუთებზე ლილუაშვილის თავგანწირულმა თამაშმა და მის მიერ გატანილმა ლელომ გამარჯვება „მშენებელს“ მოუტანა. მერე მშობლიური ვანის სტადიონზე ისეთი დღე აყარა „ავიატორს“, ხალხი რას არ ხუმრობდა. სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან განმეორებით სუპერფინალურ მატჩში მწვრთნელმა ლილუაშვილი სასტარტო შემადგენლობაში არ შეიყვანა, რადგან იგი პირველ შეხვედრაში დაშავდა, წარბზე ოთხი ნაკერი ედო. თხუთმეტი წუთი ძლივს გაძლო ტრიბუნაზე მაყურებლად და...

— პეტროვიჩ, სცთამაშოდ გამიშვი, თორემ ეს ნაკერები გულზე გამიხდება დასადები — სთხოვა კავთელაშვილს.

გავიდა და თავი არ დაზოგა. ტრავმა არც გახსენებია, ყველაზე ფიცხელ შერკინებებში ჯიქურ მიიწევდა წინ. ბესარიონმა აქაც თავისი წვლილი შეიტანა გუნდის საერთო წარმატებაში.

**თამაზ ხარაბაძე.**



# რევანშის ორი დღე

პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა რევანში აიღეს. ჯერ ტარტუს უსკა დაამარცხეს 81:72 (38:42), მერე კი კაუნასის „ბანგასაც" აჯობეს 88:87 (45:48).

ორივე მატჩი მძაფრი და შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა, მაგრამ წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ჩვენმა კალათბურთელებმა ბოლო წუთები უკეთ ჩაატარეს და გამარჯვებას სწორედ ამით მიაღწიეს.

განსაკუთრებით დაძაბული იყო „ბანგასთან" შეხვედრის დასკვნითი ნაწილი. მხეიძის, ლორიასა და სირაძის თავგანწირულ თამაშს უნდა უმადლოდნენ ჩვენი კალათბურთელები ამ შეხვედრის მოგებას.

სხვა ორი მატჩი ასე დამთავრდა: „სტროიტელი" (ფრუნზე) — „ბანგა" (კაუნასი) 82:79 (43:41), „სტროიტელი" (ფრუნზე) — უსკა (ტარტუ) 90:83 (43:37).

ქართველი კალათბურთელები დღეისათვის ცხრილში VIII ადგილზე იმყოფებიან. 28 იანვარს სიმფეროპოლში VI ტურის შეხვედრები ჩატარდება. ჩვენები შეხვდებიან ადგილობრივ „სპარტაკსა" და დნეპროპეტროვსკის „სტალს". აქ გადაწყდება უძლიერესთა ოთხეულის ბედი, აგრეთვე რვა მომდევნო ადგილის პრეტენდენტთა ვინაობა, რომელთაგან ბოლო გუნდი დატოვებს პირველ ლიგას.

## ოლეგ პროტასოვი — წლის საუკეთესო ფეხბურთელი

**ყოველკვირეული** „ფუტბოლ-ჰოკეი" ტრადიციისამებრ ატარებს ჟურნალისტების გამოკითხვას წლის საუკეთესო ფეხბურთელის დასადგენად.

ცნობილი გახდა, რომ 1987 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტთა უმრავლესობამ დაასახელა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი. ეს ფეხბურთელი ახალი სეზონიდან კიევის „დინამოს" შემადგენლობაში ითამაშებს.

## ბრემენის საერთაშორისო ტურნირზე

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენში დაიწყო ფეხბურთელთა ე. წ. საერთაშორისო „საშობაო ტურნირი", რომელშიც მონაწილეობენ ადგილობრივი „ვერდერი", „ჰანოვერ-96", გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კარლ-მარქს-შტადტი", ლიეჟის „სტანდარდი" (ბელგია), თბილისის „დინამო". თამაშები მიმდინარეობს დახურულ დარბაზში, ხელოვნურსაფარიან მინდორზე.

თბილისის დინამოელებმა პირველი მატჩი გამართეს „კარლ-მარქს-შტადტთან". პირველი ტაიმი დამთავრდა ჩვენი მეტოქე გუნდის გამარჯვებით — 2:1, შესვენების შემდეგ დინამოელებმა ასეთივე ანგარიშით მიაღწიეს წარმატებას და მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

თბილისის დინამოელები მეორე ტურში დასავლეთ გერმანიის „ჰანოვერ-96"-ს შეხვდნენ. დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:3 (პირველი ტაიმი — 3:1). დინამოელები გამოეთიშნენ მთავარი პრიზისთვის ბრძოლას.

## შოტლანდიელთა გეგმები

მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადების გეგმა შეიმუშავა შოტლანდიის ნაკრებმა. 1988 წლის 17 თებერვალს შოტლანდიელები საკონტროლო მატჩს ითამაშებენ საუდის არაბეთში, 23 მარტს — მალტაზე, 17 აპრილს — ესპანეთში. ერთადერთ შეხვედრას საკუთარ მინდორზე შოტლანდიის ნაკრები 17 მაისს გამართავს. გარდა ამისა, შოტლანდიელებს სურთ კიდევ 4 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართონ.

## შეცვალეს მწვრთნელი

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს, ცნობილ სპეციალისტს გი ტისს შეცვლის მისი ყოფილი მოწაფე, ნაკრების მცველი ვალტერ მეუვსი.



ვ. მეუვსი ამჟამად 36 წლისაა, მან 46-ჯერ ითამაშა ბელგიის ნაკრების შემადგენლობაში. იგი სპეციალურ სტაჟირებას გაივლის და 1989 წლის ივლისში ჩაუდგება ნაკრებს სათავეში, გი ტისი კი გუნდის ტექნიკურ დირექტორად იმუშავებს.

## ი. ჰიკერსბერგერი — ნაკრების სათავეში

ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების ახალ მწვრთნელად დანიშნეს იოზეფ ჰიკერსბერგერი, ამ პოსტზე მან იუგოსლაველი ბრანკო ელსნერი შეცვალა. როგორც ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, ეს ცვლილება დაკავშირებულია ავსტრიის ნაკრების სუსტ შედეგებთან განვლილ სეზონში, კერძოდ, ეს გუნდი ვერ მოხვდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

ი. ჰიკერსბერგერის თანაშემწე იქნება წარსულში ცნობილი ავსტრიელი მეკარე ფრიდლ კონსილია.

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

## ევროპის საკლუბო ტურნირები

⊙ **ფეხბურთში** ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 6 გუნდმა: „დინამო" (კიევი), „დინამო" (თბილისი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „ტორპედო" (მოსკოვი), „არარატი" (ერევანი), „დინამო" (მინსკი).

⊙ **ევროპულ** საკლუბო ტურნირებში ყველაზე მეტჯერ ითამაშა კიევის „დინამომ" — 19-ჯერ. თბილისის „დინამო" წლეულს მეათედ მონაწილეობდა ამ ტურნირებში.

⊙ **ყველაზე** მეტი მატჩი ჩატარებული აქვთ კიევის დინამოელებს — 95. მოსკოვის „სპარტაკმა" 70 მატჩი ჩაატარა, თბილისის „დინამომ" — 50.

შედარებისთვის: მადრიდის „რეალს" ჩატარებული აქვს 211 მატჩი, ხოლო „ბარსელონას" — 207.

⊙ **ჩემპიონთა** თასზე ყველაზე მეტი ბურთი საბჭოთა ფეხბურთელთაგან გაიტანა კიეველმა ლ. ბურიაკმა — 9, თასების მფლობელთა თასზე — თბილისელმა რ. შენგელიამ და კიეველმა ო. ბლოხინმა — 10-10, ხოლო უეფა-ს თასზე — სპარტაკელმა ი. გავრილოვმა — 14.

⊙ **ერთ** გათამაშებაში ჩემპიონთა თასზე მინსკის დინამოელმა ვ. სოკოლმა 6 ბურთი გაიტანა, თასების მფლობელთა თასზე — კიეველმა ვ. ონიშჩენკომ — 7, ხოლო უეფა-ს თასზე — ი. გავრილოვმა — 6.

ერთ ტურნირში გატანილი ბურთების რაოდენობით რეკორდი ეკუთვნით იტალიელ ჟ. ალტაფინის („მილანი") და ინგლისელ დ. უარკს („იფსვიჩი"). პირველმა ჩემპიონთა თასზე, ხოლო მეორემ უეფა-ს თასზე 14-14 ბურთი გაიტანეს.

⊙ **ყველა** ტურნირში გატანილი ბურთების რაოდენობით რეკორდსმენია დასავლეთგერმანელი გ. მიულერი („ბაიერნი") — 67 გოლი. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ო. ბლოხინს 26 ბურთი აქვს გატანილი, რ. შენგელიას — 19, ი. გავრილოვს — 18.

⊙ **ყველა** ევროპულ ტურნირში კიეველ ო. ბლოხინს 77 მატჩი აქვს ჩატარებული. უცხოელთაგან ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარა მადრიდის „რეალის" ფეხბურთელმა ფ. ხენტომ — 94.

**პაატა ცაგარეიშვილი.**

**დამთავრდა** თბილისის ჩემპიონატი ფეხბურთში 1973 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის. საინტერესო შეჯიბრება, რომელიც თბილისის სპორტკომიტეტის თაოსნობით ტარდება, თანდათან სულ უფრო პოპულარული ხდება. 1973 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის პირველობა არავის დაუთმო თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა (დირექტორი ა. თურქია). გამარჯვებულებმა 18 თამაშიდან 33 ქულა დააგროვეს და ქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. სურათზე, რომელიც გია ახალაძემ გადაიღო, გამარჯვებულ გუნდს ხედავთ (მწვრთნელები ნ. დოლიძე და ო. შენგელია).



# უძლიერესი უმაღლეს სასწავლებლებს შორის

**27 დეკემბერს** „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მოედანზე გაიმართა საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების პირველობა ფეხბურთში უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტისა და გორის ეკონომიკის ინსტიტუტის გუნდები შეხვდნენ. თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს მთელი შეხვედრა, გაიმარჯვეს — 4:0, და უმაღლეს სასწავლებლებში უძლიერესის სახელიც მოიპოვეს.

# პირველი წრის შემდეგ

**კაუნასი.** დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. გუნდებმა აქ 6-6 შეხვედრა ჩაატარეს. წარუმატებლად ითამაშეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებმა. მათ ყველა შეხვედრა წააგეს: ცსკა-თან 20:27, „კაუსტიკთან" — 22:25, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტთან — 23:28, „გრანიტასთან" — 16:29, „პოლიოტთან" — 19:20, ზიი-სთან — 15:22. ზოგიერთი შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისელებს ცუდად არ ჩაუტარებიათ. ასე მაგალითად, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელებთან და ზიი-სთან ტაიმი მოიგეს კიდეც, შესაბამისად 14:13 და 11:8, „კაუსტიკთან" კი ფრედ დაამთავრეს — 12:12. მაგრამ შემდგომში, როგორც ჩანს, ძალა არ ყოფნიდათ და მოედანს დამარცხებულები ტოვებდნენ.

პირველი წრის შედეგების მიხედვით ჩვენი გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა, რაც საკმაოდ ბუნდოვან და უსიამოვნო პერსპექტივას ქმნის, წინ მთელი ერთი წრეა და ჩვენმა ხელბურთელებმა ყველაფერი უნდა იღონონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა I წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (მნ.) | 11 | 10 | 1 | 0 | 311-234 | 21 |
| ცსკა | 11 | 7 | 2 | 2 | 257-216 | 16 |
| „დინამო" | 11 | 6 | 2 | 3 | 274-253 | 14 |
| მაი | 11 | 6 | 2 | 3 | 231-241 | 14 |
| „პოლიოტი" | 11 | 5 | 3 | 3 | 280-279 | 13 |
| ზიი | 11 | 5 | 2 | 4 | 235-232 | 12 |
| ფისკ-ი | 11 | 6 | 0 | 5 | 275-268 | 12 |
| „გრანიტ." | 10 | 4 | 0 | 6 | 246-256 | 8 |
| ასკ (კ.) | 10 | 3 | 2 | 5 | 205-216 | 8 |
| „ნევა" | 11 | 3 | 1 | 7 | 270-285 | 7 |
| სპი (თბ.) | 11 | 1 | 1 | 9 | 204-252 | 3 |
| „კაუსტიკი" | 11 | 1 | 0 | 10 | 239-295 | 2 |

**შენიშვნა:** კიევის არმიელებს და „გრანიტასს" თითო მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

## კვირიდან კვირამდე

„**პრავდა**" — 23 დეკემბერი. „სეულის მატჩის შემდეგ". გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ბონიშოვის საუბარი ანატოლი კაპოვთან.

„**კომსომოლსკაია პრავდა**" 22 დეკემბერი. „სამი მინუსით". გაზეთის მიმომხილველის, სპეციალისტებისა და მკითხველების აზრით სწორედ ასეთ შეფასებას იმსახურებს დღესდღეობით ფიზკულტურის მასწავლებლის დონე სკოლაში.

23 დეკემბერი. „სიმაღლესთან პირისპირ". ნარკვევი მეკლდეურზე, რომელიც ყოველთვის მარტო დადის მთაში.

„**სოვეტსკი სპორტი**" — 20 დეკემბერი. „მე დიქტატორი არავარ". ინტერვიუ ფიფა-ს პრეზიდენტ ჟოაო აველანჟთან.

23 დეკემბერი. „თავს როგორ გრძნობ, ნეკერჩხლის ფოთოლო"? რედაქციაში სტუმრად არიან კანადის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელები.

26 დეკემბერი. „დეფიციტის ანატომია", ანუ იმის შესახებ, თუ რატომ მიდიან სპორტული კადრები სხვა სამუშაოზე.

26 დეკემბერი. რუბრიკაში „სპორტის ვარსკვლავები" სტუმრად „სოვეტსკი სპორტთან" მკითხველი შეხვდება ცნობილ მაროკოელ მორბენალს საიდ აუიტს.

27 დეკემბერი. „სანამ მწვანე მინდვრები თოვლქვეშ არიან". მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი.

# ...ოეტების ხსოვნას მიეძღვნა

...ანში ჩატარდა რაიონის მოჭადრაკეთა ღია პირველობა, რომელიც გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების ხსოვნას მიეძღვნა. მასში მოჭადრაკე მონაწილეობდა ...ლისიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან და მაიაკოვსკიდან.

12,5 ქულით I ადგილი დაიკავა სამტრედიელმა ა. ვაშაკიძემ. II და III ადგილებზე შესაბამისად თბილისელები ლ. თანდაშვილი — 12 ქულა და ქ. აბაშიძე გავიდნენ.

**ზურაბ მაჭავარიანი,**
**...ვანის საჭადრაკო კლუბისა და სკოლის დირექტორი.**

## ტელეტაიპი — მკითხველი

**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სეულის ოლიმპიურ თამაშებში. ესენია, ვაჟებში — ჯონ მაკინროუ, ტიმ მაიოტი, კენ ფლეჩი, რობერტ სეგუსო და ბრედ ჯილბერტი, ქალებში — პემ შრაივერი, ზინა ჰარისონი და ელაიზა ბურგინი. ახლა ეს სია აშშ-ს ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უნდა დაამტკიცოს.

**მეხიკო.** როგორც ცნობილია, 1988 წლის 5 ივნისს აქ ავტომობილისტთა „გრან-პრის“ („ფორმულა-I“) ერთ-ერთი ეტაპი უნდა გამართულიყო. მექსიკელმა ორგანიზატორებმა ამ შეჯიბრების ჩატარებაზე უარი თქვეს ფინანსური მოსაზრებებით. ამ გადაწყვეტილებამ სპორტული საზოგადოებრიობა სერიოზულად შეაშფოთა. საქმე ის გახლავთ, რომ ავტო შეჯიბრებები სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა მექსიკაში.

**მადრიდი.** აქ დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საახალწლო ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად საბჭოთა ნაკრებიც მონაწილეობს. სასტარტო შეხვედრაში ჩვენებმა დაამარცხეს ევროპის ჩემპიონი — საბერძნეთის უნდი 96:78 (49:39). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნებს შემადგენლობაში არ ჰყავდათ კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელი გალისი. ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ კურტინაიტისი და ტარაკანოვი — 17-17 ქულა. საბჭოთა კალათბურთელებმა მეორე შეხვედრა არგენტინელებს მოუგეს — 112:76 (53:32).

**მაიამი (ფლორიდას შტატი).** აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის („ორანჟ ბოული“) ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება სამმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა. მინსკელმა ნატალია ზვერევამ შვედი მარია სტრადლუნდი დაამარცხა — 6:1, 5:7, 6:4, ოდესელმა ელენე ბრიუხოვეცმა — კანადელი ჯეიმ იატსი 5:7, 6:2, 6:3, უფელმა ანდრეი ჩერკასოვმა კი ვენესუელის ჩოგბურთელი ნიკოლას პერეირა 7:6, 9:7, 6:7, 5:7, 6:4.

ზვერევამ და ჩერკასოვმა ნახევარფინალურ შეხვედრებშიც გაიმარჯვეს (შესაბამისად ამერიკელ დებორა გრეჰემთან და კანადელ კლემენ ნკორანთან და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, ბრიუხოვეცი კი ლაურე ლაპისთან (იტალია) დამარცხდა — 1:6, 1:6.

**ბონი.** გფრ-ში ჩატარდა ბობსლეისტთა (წყვილები) მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი, რომლის შემდეგაც ლიდერობა ხელთ იგდეს საბჭოთა სპორტსმენებმა — იანის კიპურსმა და ვლადიმერ კოზლოვმა — 76 ქულა. მეორე ადგილზეც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ზინტის ეკმანისი და აივარს ტრონპსი არიან — 58 ქულა. მათ გდრ-ის წყვილი (ბერნჰარდ ლემანი — მარიო ჰოიერი) 3 ქულით ჩამორჩება.

## მძლეოსანთა პირველი სტარტები

საქართველოს რამდენიმე წამყვანი მძლეოსანი მონაწილეობდა თბილისის ჩემპიონატში, რომელიც, ტრადიციულად, მძლეოსანთა ახალ სპორტულ სეზონს ხსნის. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მაია აზარაშვილმა (პროფკავშირები) საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 54,9. ეს შედეგი, აგრეთვე, აღემატება რესპუბლიკის მიღწევას ღია სტადიონებისათვის, რომელიც 55,25 უდრის. მაია ამ სპორტულ სეზონში უფრო ხშირად ალბათ 400-მეტრიან დისტანციაზე იასპარეზებს.

3-კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ქვეყნის ნაკრების წევრმა ოლეგ სტრიჟაკოვმა („დინამო“) — 8.26,3. 400-მეტრიან დისტანციაზე — უძლიერესი იყო მიხეილ გაფრინდაშვილი (პროფკავშირები) — 59,7. 60 მეტრზე რბენაში [illegible] და — 6,7. 16 წლის მერაბ ყურაშვილმა (პროფკავშირები) ბირთვი 16,25 მეტრზე ჰკრა.

მეტად დაძაბული გამოდგა შეჯიბრება 60 მეტრზე თარჯრბენში. ორმა დინამოელმა სპორტსმენმა დიმიტრი კალაძემ და ვიაჩესლავ ვასილიევმა ერთნაირი შედეგი-7,6 აჩვენა, მაგრამ მსაჯებმა აღნიშნეს, რომ კალაძემ რამდენიმე სანტიმეტრით გაუსწრო მეტოქეს.

ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობდა ქალაქის თასის გათამაშება და პირველობა ჭაბუკ მძლეოსანთა შორის. მთავარი ჯილდო დაისაკუთრეს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სპორტსმენებმა.

## მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# გინდათ გახდომა? გადახტით სიმაღლეზე

**ბულგარეთის** ქალაქ პლოვდივის მკვიდრს, ამჟამად სოფიელ სტუდენტს სტეფკა კოსტადინოვას თამამად შეიძლება „სიმაღლის დედოფალი“ ვუწოდოთ. თვითონ განსაჯეთ: მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ღია სტადიონზე — 209 სმ. ამ შედეგს მან რომის მსოფლიო ჩემპიონატზე მიაღწია და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. „ზამთრის“ რეკორდი კი კოსტადინოვამ ინდიანაპოლისში, მძლეოსნობის ისტორიაში პირველად გამართულ ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატზე დაამყარა (დახურულ დარბაზში). ორმეტრიანი სიმაღლის დაძლევა ყველა სიმაღლეზე მხტომელი ქალისთვის უდიდესი წარმატებაა. მძლეოსნობის ისტორიაში მხოლოდ 14 სპორტსმენმა შეძლო ეს. სტეფკა კოსტადინოვა კი ამ სიმაღლეს თითქმის ყოველ შეჯიბრებაზე ადვილად ილევს (გაითვალისწინეთ, რომ იგი სეზონში 50 ასპარეზობაში მაინც მონაწილეობს). კოსტადინოვას დამარცხება განსაკუთრებულ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონს პოლონეთის სპორტული გაზეთის „პშეგლენდ სპორტოვის“ კორესპონდენტმა ჩამოართვა.

● **ბავშვობაში სპორტის რომელი სახეობით იყავით გატაცებული?**

— ცურვით, სკოლაში მესამე კლასიდან ვვარჯიშობდი.

● **როგორი იყო თქვენი პირველი შედეგები მძლეოსნობაში?**

— უკვე მეექვსე კლასის მოსწავლემ მონაწილეობა მივიღე სოფიის საფესტივალო დარბაზში გამართულ ზამთრის შეჯიბრებაში და 166 სანტიმეტრი სიმაღლე გადავლახე.

● **რა შეიცვალა თქვენს შეხედულებებში მას შემდეგ, რაც მსოფლიო რეკორდსმენი გახდით?**

— ახლა თითოეულ ნახტომს უდიდესი პასუხისმგებლობით ვასრულებ.

● **რაშია თქვენი წარმატებების „საიდუმლო“?**

— წარმატების „რეცეპტი“ ერთია: შრომა. როდესაც სიმაღლეზე ვხტები, ვგრძნობ, რომ ჩემს საქმეს ვაკეთებ.

● **როგორ ახერხებთ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვას ძლიერ მეტოქეებთან შეჯიბრებისას?**

— მე ძალიან დიდი დატვირთვით ვვარჯიშობ. ეს საკუთარი ძალების რწმენას განმიმტკიცებს და საშუალებას მაძლევს, მეტოქეთა პატივისცემის მიუხედავად, მათი არ მეშინოდეს. პირიქით, ძლიერი მეტოქეები ერთგვარად მეხმარებიან ძალების მობილიზებაში უფრო მაღალი შედეგების მისაღწევად.

● **რა არის მთავარი რეკორდებზე იერიშის დროს?**

— ნახტომის შესრულების მაღალი ტექნიკა. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ დასახვეწი მაქვს. თუ ამას შევძლებ, ვიმედოვნებ, უფრო დიდ სიმაღლეებსაც დავძლევ.

● **როგორ წარმოგიდგენიათ სიმაღლეზე მხტომელ ქალთა მსოფლიო რეკორდი უახლოეს მომავალში?**

— დარწმუნებული ვარ, 212-215 სანტიმეტრი სავსებით რეალური შედეგია.

● **როდისმე გიცდიათ „გადავლებით“ გადახტომა?**

— არა, თავიდანვე „ფოსბიურის“ სტილის ერთგული ვიყავი.

● **თქვენ უკვე მესამე მწვრთნელი გყავთ. რას უმადლით თითოეულ დამრიგებელს?**

— პირველმა მწვრთნელმა, დობრი ივანოვმა, შეჯიბრებისათვის გულდასმით მომზადება მასწავლა. მეორე — ენიო ტოდოროვი — განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხტომის ტექნიკის დახვეწას. ახლანდელმა მწვრთნელმა კი — ნიკოლაი პეტროვმა — ოსტატობის სიმაღლემდე ამიყვანა და ჩემი თავის, ჩემი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა გამიმტკიცა.

● **თუ არიან სპორტსმენები, ვისგანაც თქვენ მაგალითს იღებთ? დაგვისახელეთ, თუ შეიძლება ახე ითქვას, თქვენი იდეალები სპორტში.**

— შემიძლია დაგისახელოთ: მძლეოსნები — მარიტა კოხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ამერიკელი ვილი ბენქსი; ბულგარელი სპორტსმენებიდან — ძალოსანი ბლაგო ბლაგოევი, ჩვენი მხატვრული ტანმოვარჯიშეები. ჩემი პირველი იდეალი იყო მარია გიგოვა, მხატვრული ტანვარჯიშის შესანიშნავი ოსტატი. ძვირფას რელიკვიასავით ვინახავ ფოტოსურათს, სადაც ჩვენ ერთად ვართ გადაღებული. სიმაღლეზე მხტომელთაგან განსაკუთრებით მომწონდა იტალიელი სარა სიმეონი და ულრიკე მაიფარტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. და კიდევ, ჩემი მეგობარი და მეტოქე ტამარა ბიკოვა. არ შემიძლია მშვიდად ვუცქირო მის ხტომას. როდესაც მას ნახტომი გამოსდის, ეს მართლაც იშვიათად ლამაზი სანახაობაა.

● **სპორტის გარდა რა გიტაცებთ?**

— ყველაფერ კარგს, რაც ჩემს ცხოვრებაშია, მხოლოდ და მხოლოდ სპორტს ვუმადლი.

● **მოწყენილი თუ ხართ ხოლმე?**

— მართალი გითხრათ, მოსაწყენად არა მცალია.

● **რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად?**

— თუ ვინმე ან რაიმე ხელს მიშლის ვარჯიშში.

● **დიეტას თუ იცავთ?**

— დიეტა სასწაულმოქმედი წამალია არა მარტო ჭარბი წონის, არამედ არასრულფასოვნების კომპლექსის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. მე ტანად 180 სანტიმეტრი ვარ და 59-60 კილოგრამს ვიწონი. ასეთი სხვაობა სიმაღლესა და წონას შორის ყველას არა აქვს. ხანდახან ძალიან მინდა „განაწესის გარეშე“ შევჭამო რაიმე, მაგრამ თავს ვიკავებ. ჩვენთვის ზედმეტი კილოგრამები მეტისმეტად დიდი ტვირთია. ამ კილოგრამების წინააღმდეგ ბრძოლა უბრალო ახირება კი არ არის, არამედ ცხოვრებისეული აუცილებლობაა ყოველი ადამიანისათვის.

**რედაქციისაგან:** ამ ინტერვიუს ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ რომის მსოფლიო ჩემპიონატზე სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მწვავესიუჟეტიანი ასპარეზობა გახლდათ. სტეფკა კოსტადინოვას — ჩემპიონატის აღიარებულ ფავორიტს — გამარჯვებისთვის სამივე მწვრთნელისაგან შეძენილი ცოდნისა და ოსტატობის მაქსიმალურად გამოყენება დასჭირდა.

30 აგვისტოს „ფორო ოლიმპიკოს“ სახტომ სექტორში 12 ქალი გამოვიდა. საწყისი და მომდევნო სიმაღლე — 180 და 185 სანტიმეტრი — თორმეტივემ აიღო, მხოლოდ რამდენიმემ გამოტოვა პირველი ზღუდე, მათ შორის კოსტადინოვამ და ბიკოვამ. 190 სმ სიმაღლეზე სამივე ცდა გაუცუდდა და შეჯიბრებას გამოეთიშა მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, ბულგარელი ლიუდმილა ანდონოვა, მომდევნო სიმაღლე — 193 სმ — თერთმეტივე სპორტსმენმა ადვილად გადალახა, მაგრამ საკმარისი იყო, მსაჯებს კიდევ სამი სანტიმეტრით აეწიათ თამასა, რომ მაყურებელთა შორის გადაინაცვლეს ბულგარელმა სვეტლანა ისაევამ, ამერიკელმა კოლინ სიმერმა, ფრანგმა მედელინ ბოჟანდრმა, საბჭოთა სპორტსმენმა ლიუდმილა ავდეენკომ და კანადელმა ლუიზა რიტერმა.

სტეფკა კოსტადინოვამ შვებით ამოისუნთქა, იგი უპირველეს მეტოქედ სწორედ რიტერს თვლიდა, რომელთანაც იმ სეზონში ორჯერ „მოასწრო“ დამარცხება. მაგრამ ახალგაზრდა ბულგარელ მხტომელს წინ ისეთი გამოცდა ელოდა, რომელიც, წინასწარი პროგნოზით, არავითარი ლოგიკის ჩარჩოებში არ თავსდებოდა...

199 სმ სიმაღლეზე ბრძოლა შეწყვიტეს ლარისა კოსიცინამ (სსრკ) და ჰაიკე რედეცკიმ (გფრ). ორჯერ ამაოდ გაისარჯა ნიჭიერი კუბელი მხტომელი სილვია კოსტა. მესამე ცდა მან 202 სმ-ზე გადაიტანა, მაგრამ კვლავ ჩამოაგდო თამასა. მისი ბედი გაიზიარა სუსანა ბაიერ-ჰელმმა (გდრ). სახტომ სექტორში ორნი დარჩნენ — მსოფლიოს ჩემპიონი და ექსრეკორდსმენი ტამარა ბიკოვა და მსოფლიოს რეკორდსმენი სტეფკა კოსტადინოვა. გამოცდილება — ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

ობიექტური შეფასებით საბჭოთა სპორტსმენს თავისი საუკეთესო წლები უკვე გავლილი ჰქონდა და იგი კოსტადინოვასთვის საშიში მეტოქე აღარ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ბულგარელმა ბიკოვას მხრიდან ისეთი შეუპოვრობა იგრძნო, რომ ჩვეულება დაარღვია და თვალი ველარ მოაშორა მოწინააღმდეგეს, რომელიც 204 სანტიმეტრის — თავისივე პირადი რეკორდის დასალაშქრავად ემზადებოდა. მსოფლიო რეკორდსმენი ალბათ ასე არ უნდა მოქცეულიყო: ბიკოვას ნახტომი კვლავ უზადო გამოდგა, რამაც მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მის მეტოქეს.

სტეფკა კოსტადინოვამ, რომელიც უკვე ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული ფავორიტის ჩრდილსღა ჰგავდა, ულიმღამოდ ჩაატარა ორი ცდა და თავჩაქინდრული დაეშვა სკამზე. სტადიონმა სენსაციის მოახლოება იგრძნო და გაინაბა.

ძნელი სათქმელია, რა იფიქრა იმ ხუთიოდე წუთში ბულგარელმა, მაგრამ მისი მესამე ცდა ბრწყინვალე იყო და მან კვლავ თავდაჯერა დააყენა უკვე მომწიფებული პროგნოზი. ბრძოლის სადავეებ ერთი მეტოქიდან მეორის ხელში გადაინაცვლა და შემდეგ კოსტადინოვას შეჩერება შეუძლებელი გახდა. მან მეორე ცდით აიღო 206 სანტიმეტრი და შემდეგ მსოფლიო რეკორდს — 209 სანტიმეტრს შეუტია. მის ცდას გამაყრუებელი ოვაცია მოჰყვა. მსოფლიო რეკორდი კიდევ ერთი სანტიმეტრით გაუმჯობესდა. მსოფლიოს ექსჩემპიონი უკვე ბედს იყო შერიგებული — თავის პირად რეკორდს ვეღარაფერი მიუმატა.... ის ბრძოლა მართლაც მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი გახლდათ.



## ინფორმაცია

**ფრანგულმა** ჟურნალმა „ფრანსფუტბოლმა“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ევროპის 1987 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა ჰოლანდიელი რუუდ გულიტი.

## ბოჟე პროფესიონალებში

**კალათბურთის** მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-ს ნაკრების ტანმორჩილი კალათბურთელი ტაირონ ბოჟე (159), რომელმაც ჩემპიონატზე ევროპის ყველა უძლიერესი გამთამაშებელი ვალტერსი, პეტროვიჩი, მარზორატი დაჯაბნა. ბოჟემ სპეციალისტების და ჟურნალისტების საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. მისი თამაშით თვით სახელგანთქმული მადრიდის „რეალიც“ დაინტერესდა. მაგრამ თავად ბოჟეს, ეტყობა, სულ სხვა ოცნება ჰქონდა — ეთამაშა პროფესიულ გუნდში.

1987 წლის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის დებიუტანტებს შორის ტაირონ ბოჟეს სახელსაც ვხვდებით. იგი ჩაირიცხა „ვაშინგტონ ბულიტსის“ შემადგენლობაში. ამიერიდან ნბა-ს ყველაზე ტანმორჩილი მოთამაშეც სწორედ ბოჟეა. იგი ჩინებული დრიბლიორი და კარგი გამთამაშებელია. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეტევის დაგვირგვინებაც ხელეწიფება. ამის ნათელი ილუსტრაციაა ერთ-ერთი ბოლო მატჩი „ატლანტა ჰოუკსთან“, როდესაც ბოჟემ თავის გუნდს 16 ქულა შესძინა. აღსანიშნავია, რომ წლეულს პროფესიონალებთან კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე აშშ-ს ნაკრების კიდევ ორმა წევრმა. ცენტრალური თავდამსხმელი დევიდ რობინსონი (213 სმ) ჩაირიცხა „სან-ანტონიო სპურსის“, ხოლო დამცველი კენი სმითი (188 სმ) „საკრამენტო კინგზის“ შემადგენლობაში, რომელსაც წარსულში ცნობილი კალათბურთელი ბილ რასელი წვრთნის.

**მერაბ კალანდაძე.**

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** შედგა „სპორტლოტოს“ 1987 წლის ბოლო, 52-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-45“-დან:** 1 (კალათბურთი), 10 (წყალბურთი), 11 (ფრენბურთი), 30 (ძალოსნობა), 44 (ჭადრაკი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5-36“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 17 (საციგურაო სპორტი), 22 (წყალში ხტომა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 27 (მშვილდოსნობა).

რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07297